რადგანც აპარსეტის ხემწიუე პირებდა საქართველოშედ საო-
მრად მოსელის ირაკლიმ ამ პირობის ძალით სოხოვა იმე-
რეთის მეფეს სოლომონს, რომ პირობის წერილი აღსრუ-
ლებინა და გამოეგზავნა თავისი ჯარები გასაშეელებლათ და
იმათ მისაღებათ სამხადსაც შეუდგა.

ტფილისელები გავიდნენ ქალაქის გარეთ სანახავათ იმე-
რეთის ჯარების მოსელისა. ეს იმერეთის ჯარი იყო ორი
ათასი კაცი, მაგრამ იმათ წარამშლეარს თვეად ზურაბ წერე-
თელს მეფის ირაკლის მოტყუება უნდოდა იმით, რომ ერ-
თომ მრავალი ჯარი მოჰყეანდა და ამისთვის ის თავისი ჯა-
რი გაშალა მინდვრებზედ და ჯგუფ-ჯგუფათ შემოიყვანა,
რომ მრავლათ გამოჩენილოყო.

ირაკლი სიხარულით და ღარსეოფით მეეგება იმათ, ასე
რომ რამდენიმე ზარბშიანი და თოფები ასროლინა, სიხარუ-
ლის ნიმნად. ის ჯარები დააყენეს ყაზახში და კრწანისში.

საქართველოში ჩეეულებათ არა ჰქონდათ, რომ ჯარი-
სათვეს სურსათი მოეგროებინათ და შეენახათ და ამისთვის
ყოველიდე ჯარისთვის მოუროტებოდა ხოლმე მცხოვრებლე-
ბში გამომცხვარო პური, ლერნა და ხორავი.

„არა მგონია-სოქვა ერთმა მომწერემ — რომ ამითი ხალ-
ხი შეწუხებულიყო, ამიტომ, რომ მამინ ტფილისში
წყლის მაგივრად ლეინით იბანდნენ კელსა და პირ-
სა.“

ტფილისელებს ეგონათ, ის იმერეთის ჯარის ხულ რჩეუ-
ლნი ვაჟქაცნი იყვნენ და რეა ათასი კაცი იყო. ამისძის სი-

ხარულით ტფილასელები ღმერლებს დოდის სიამოვნებით ეპა-
რულობოდნენ. ქართველები გლოლი გაიმაგრეს ამათის იმე-
დით და გულაც დაარწმუნეს, რომ უეჭველათ ესენი აჯო-
ბებდნენ თავიანთს მტერს, რადგან მომშველნი რეა ათასი
კაცი ეგულებოდთ.

— აბა მოვიდეს ეხლა ალა-მაჰმედ-ხანი იძახდნენ ქალა-
ქში ქართველები გულდარწმუნებით და სრულის იმედით თა-
ვიანთის ეაჟაცობია.

— ვის შეუძლიან ჩეენი შებრძოლება, ახლა სხვანი იტ-
ყოდნენ.

— ყიზილბაშებში პირველად ლომავაეით იციან ომში მის-
ელა, მაგრამ ძილიან მალე შემინდებიან ხოლმე და მალე იცი-
ან გაეცია.

— ქალაქი მაგრი გვექნეს, ხლხნი ბევრნი არიან და გარდა
ამის ბატონის შეკლებიც ათას ათას კაცი გამოგხვიან ყვე-
ლანი თავიანთს საბძნებლებიდამ. ერევნის ხანიც ჩეენის
იმედით ყენებს არ დამორჩილდება. უჭერილი არის რომ ჩეენ
დავამარცხებთ ყიზილბაშებს, იმათი ქონებაც დაელათ დაგვ-
რჩება და მერე ნახამთ რა სიაფე იქნება ქალაქში სუვე-
ლაფრის და კარგათც ერქნებით; ომში ბევრჯლ კყოფლ-
ვარ და რასაც ვამოვთ გამოცდალებით გეუპნებით, — ასე
ეუბნებოდნენ ტფილისელები ერთმანეთს, ქუჩებში რომ შე-
მოხედებოდნენ.

ასე ნუგემობდა ხალხი მინამდ სინ ტფილისში ამბავი მო-
უკიდოდათ, რომ შაჰიმ მუშას თავი დაანებაო და განჯის
ხანის საბძნებელში შემოვიდაო და რაც გზშიდ დახცდა და

არ დაემორჩილა სულ დაამარცხაო და ვინც თავი არ
დაუკრა ხლმით და ცეცხლით ამოსწყვიტაო.

აღა-მაჰმედ-ხან განჯას რომ მოვიდა და იქ დადგა, იქ-
დამ ირაკლის ელჩი გამოუჟავნა დამორჩილდიო შემოუთვა-
ლა; ირაკლის რუსეთის მოშეველების იმედი ჰქონდა და ამი-
სთვეს უარი შეუთვალა.

ირაკლის მეუღლემ დედოფალმა დარიამ გიორგის ასუ-
ლმა მისწერა გუდოვის თხოვნა მოშეველებისთვეს. ასე მისწე-
რა: აღა-მაჰმედ-ხანმა განჯა და ქრევანი დაიპყრო და საქა-
რთველოს ფერ მოდისო. ირაკლი თავისის და იმერეთის ჯა-
რებით ერევნის მხარეს გზების შესაქრავად წავიდაო.

საქართველოს მოსაფლი უბედურება უახლოვდებოდა.
აფარიის ხანი თავისის მრავალის ლიკებით კახეთშედ დაცე-
მას აპირებდა აღა-მაჰმედ-ხანს თხოვნით.

მეფე ირაკლიმ კიდევ მისწერა გრაფ გუდოვის: აღა-მაჰ-
მედ-ხანს ჩეჩენედ და ჩემ მოკავშირებზედ იმერეთის მეფისედ
უმრავლესი ჯარი ჰყავსო და ამისთვეს გთხოვო სამი-ათასი
კაცი ტუსის ჯარი მომაშეველოო.

გუდოვიმა უპასუხა, აღა-მაჰმედ-ხანს მრავალი იმგვარი
მჩქეზი აქვსო, რომ საქართველოზედ საომრად მოსელის ვერ
გაბედამსაო; ვერ საქართველოსი და იმერეთის ჯარებიც ძლი-
ერი არისო და ამას გარდა მესამე მოკავშირეც გვყავსო.
შემის იბრაჟიმ ხანმაც ამ გვართვე მისწერა და მეც არას
გზით აღა-მაჰმედ-ხანს არ დაემორჩილდებიო. გრაფი გუდო-
ვიმ კიდევ ამას უჩევდა ირაკლის, ეცადეო რომ ყიშილ-
ბაშები მენს საბძნებელში არ შეუმოვო. იმპერიატრიცაც

მოკანიენეფი რა მდგომარეობაშიაც არის საქართველოებ
და იმპრეთით. აერიის ხანირადგან ერთგულობდა რუსეთი,
გუდოვიჩი ბისწერა იმას, რომ საქართველოს არაფერი წი-
ნაა ღმდევობა არ უყოფ და შენი ჯარიც დასაცემად არ
გვჩავნოთ.

თუმცა სრულებით მზათ ვიყავიო საქართველოშედ საობ-
რათ წასასელელათო, ავარიის ხანმა მისწერ, გუდოვიჩი, მაგრამ
რადგან თქუმნი წიგნი მომიერდოთ. თაგა დავანებეფო.
. გ. თუ ს. ნ. მა საჩუქრო მოსირება და გუდოვიჩის ც
სამურის ქულჭი გაუგზავნა იმას და ამასთან ურჩია, რომ
რუსეთს საფარველი ითხოვეთ.

საქართველოს მდგომარეობა. ამ გვარმა ნუგეშის ცემამ
და აჩევამ, ვერ შეცვალა, ყოველი იმედი საქართველოსი
ბუშის იბრაჟიმ ხანი და კუ, იმიტომ რომ თურქომ შუბის
მაგარს ციხეს ყიზილბაშები აიღებდნენ, მამინ საქართველოში
მოსელა აღარ გაუჭირდებოდათ.

გუდოვიჩი ქარგათ იცოდა და ამისთვის, რომ
ჯარები მოეშველებინა საქართველოსთვის იმპერიატორის
რაპორტით 23 ოქტომბერს 1795 წელს მასწერა.

„საქართველოში თუმცა ცუდი გზები არის ჯარების გასა-
გზავნათ, მაგრამ შემოდგომაშედ აგვისტოს ნახევრიდამ ნოემ-
ბრამდისინ და გაზაფრულებდ პრილიდამ მაისის ნახევრამ-
დისინ თუ გზა გვეთდა შესძლის არის ჯარის გაგზავნა.
ნოემბერში კი მოებში ყანვას და წყებს და ძალიან დიდი
თოვლიც მოვა ხოლმე; შენობაებიც გზაზე არ არის და
საქონლის საჭმულიც არ იშვევა. სხვა დროს მაისის ნა-

ხევრიდამ აგუსტოს, ნახეარამდისინ მდინარე თერგი ძალიან
მოდიდდება ხოლმე და ძალიან ჩქარიც არის, მხოლოდ ერთს
აღილს არის გასაფალი და იქაც ჯარის გასაყვანად ეჭვი
ხიდი მაინც უნდა გაედინოს”.

თუმცა ირკვლი გასულიყო ყიზალბაშებისთვის გზების
შესაქარავათ, მაგრამ უკან დაბრუნდა ტფილიში, იმიტომ
რომ იმერთის ჯრი, რომელიც იყო მოსაშეელებლად
მოსული, გამოუკავშირდა უკან, ჩეენ სპარსებს ვერ ვეომებითო,
ამის მიზეზით საქართველოს მიჯნები გაუმაგრებლები დარჩა,
და ის იმერლები მაშინეუ შან გაიქცინენ იმერეთში, ისინი
გზაზედ მოეწივნენ ტფილისის აყრილს, ხალხს, რომელნიც
მიღიოდნენ მთებში დასამალათ და ისინი დაცარცვეს და და-
ხოცეს.

ალა-მაჰმედ-ხანშა რომ შეიტყო იმერლების გაქცევა, ქარ-
თველების ჯარის სიცორევე და ქლაქი ტფილისის გაუმაგ-
რებლობა, ძალიან იამა, შემას თავი დაანკება და საქართ-
ველოს დახაცემათ ჩაეიდა, რომ ნახა საქართველოს მიჯნა
ზედ ჯარი არ იდგა პირ და პირ ტფილზედ მოვიდა.

ქართლის ჯარის მეოდი-ათასი დარჩეული ყიზილბაშის
ცხენოსანი და ქვეითი ჯარი გარემემო შემოეხეია, მაგრამ
ქართველები მაინც საუცხოვოთ ეომნენ იმათ.

ყვენი ალა-მაჰმედ ხანი შეიდა ვერსზედ დადგა ტფილის
იქით. გარეშემო მიწის თხრილები და ამაღლებული ზიწა
გაიცეთა, იმ ფიქრით, რომ ქართველები ტფილისს ადვილად
არ დაანებებენ მტერსათ. იქნება, რომ უეცრად მე აქ და-
მეცნენო. იმისთვის რაც კი მეოძღვა გამაგრდა იქ.

ათს ენერისთვეს 1795 წელს ყევნმა თავისი წინა ჯარი გაგზავნა საომრად ტუილისტედ, ქართველები დაუხდნენ იმათ და თავი და პირი 'დაამტკრიეს სპარსებს.

მაშინევ ტუილისიდამ აქეთ-უქით ჩაფრები გაგზავნეს ხაშახარობლოთ გავიმარჯვეთო. ერთი ამათგანი მეორეს დღეს მივიდა სილნახში გიორგი ბატონისმეილთან; იმან რომ შეიტყუ ეს გამარჯვების ამბავი გამხიარულდა და გამარჯვების დღესასწაულობა გადიხადა; გავიდა ქალაქს გარეთ მინდორზედ მეურილს ხალხთან და ზარბაზნები ასროლინა სიხარულის ნიმნათ, ოთხი ზარბაზნი იყო მამინ იქ, და მეტყ მაჭრის სხა დაწყეს საქართველოს გამარჯვების და ყევნის დაცემის და დამხობისა.

თუმც წინა დღეს ქართველებმა გაიმარჯვეს, მაგრამ მეორეს დღეს სპარსინი მაინც კადევ დაეცნენ ქალაქს. ირაკლი მეფე იმათ წინამღლდებათ გავიდა ჯარით. სეიდაბათის ბალებთან დაყენა თავისი ჯარები და ოთხ ნაწილათ გაჰყო. მარჯვნივ ზევით გზაზედ სოლოლაკის და ტაბახმელის გზისკენ დაყენა დავით ბატონისმეილი ჯარით, სეიდაბათს რომ გასკილდებით გზა იქ ინწრო ყორჩიაყალასთან და ქვეით გზასთან ერთდებოდა. ეს ადგილები სულ კლდიანები არის და გზებიც შრალი იყო. ქაც მორის პირში დავით ბატონისმეილის ჯარები იდგა თავისის მეთოუხანებით, ისე რომ მოსავალი გზა შეუკა მტერს. შუაზედ იდგა თთონ მეფე ირაკლი ვახთაწე ბატონისმეილით და თავადი ამილახერით. მარცხენას მხარეს იდგა თავადი იოანე მუხრანბატონი თავისის ჯარით და წინა ჯარი ჰყეანდა ჩა-

ბარებული ითანეს ბატონის შეილს, გიორგის ძეს.
ეს ბატონიშვილი ითანე გომრგის ძე მეჩეთთავისის ჯა-
რით წინ წავიდა მინდოორჩედა, სადაც იდგნენ ქართველებიც;
დაეით ბატონიშვილი კი ირაკლის ბრძანებით წავიდა და
კრწანისში დადგა.

ალა-მაჰმედ-ხანმა თავისი ჯარები თოთხმეტ ნაწილათ გა-
ჰყო და მთები სომღალუხისა, შავნაბაღისა, თელეთისა და
კრწანისისა თმით დაიჭირა და ქართველებზედ წამოვიდა.

ყენმი, ძალიან საკურველი საქმე მოიგონა, რომ თავისი
ჯარი გაეხნევებინა, თავიანთის თვისთვის ძლა დაეტანე-
ბინათ და უჟიველათ გემარჯვნათ, აი რა ჰქნა: იმას ყოვე-
ლთვის თან დაჲყეანდა ექვსი ათასი თურქმანი, რომელთაც
ყიზილბაშები ძალიან სძულო და ყიზილბაშებსაც ისინი
სძულან, თუმცა სარწმუნოება ამ ორთავ ერთი აქვს, მაგრამ
სხვა და სხვა ჩვეულობები აქვს და ამას გამო ერთმანე-
თში მტრობა და სიმძულვარე აქვსთ; ალა-მაჰმედ-ხანმა ეს
თურქმანები დაიყენა თავის ახლო და ყიზილბაშის ჯარს უ-
კან, გაუმწვრია, უბძანა იმ თურქმანებს თუ ეინიციბა არის
ყიზილბაშთაგანი ვინმე ამიდგან უკან გამობრუნდესო, ის
მამინვე მოუკლითო, ეს ბრძანება თურქმანებს დიდათ იამათ
და მტკაცე ალსრულებდნენ, ვინც კი სპარსთაგანი გაბე-
დავდა ამიდამ გამობრუნებას ანუ გამოქცევას ისინი იმავ
წამს ხლმით კუწავდნენ ხოლმე.

ამ გვარად გაჭირებულო ყიზილბაშთ შეტი გზა აღარ
ჰქონდათ, რომ თავ გამოდებით უნდა ეომნათ.

ომი დოლით შეიდ საათხედ გაიმართა და ქართველების

წინა ჯარი თუმცა ვაჟა-ცობით ომობდა, შაგრამ შჩავალი
და ეხსოურათ და იშისტვის უკან აპირებდა ღაწევასა, და ამ
დროს მოეშველა ამათ ვახტანგ ბატონიშვილი თაეისის ჯა-
რით, ირაკლის ბრძანებით, იმის ჯარში იყვნენ წიზიყელები,
ფშაველები და ხევსურები, სულ დარჩეულნი ვაჟა-ცები
იყვნენ და ეს რომ მოეშველათ ომი გაძრიელდა, ქართვე-
ლებმა წინ დაიწის, მაშინ მეფემ კიდევ მოაშველა ჯარი
მაჩაბლის ხელქვემოთნი და ის მაჩაბელი მეზურნებისა და
მასხარების წინამდლომლი იყო. მაჩაბელმა ხელში აიღო
თაეისი ჩონგური, დაუკრა, ზედ დაამლერა მხიარულის ხმით
სიმლერა და მერე თაეისი ჯარი ითანე ბატონისმეილს წი-
ნათ მდგომს ჯარში შეუჩია. ეს ჯარი ერთიან მიაწვა ყი-
ზილბაშის ჯარებსა და იმათ ბაირალებამდისინ მიეიღნენ, ასე
რომ აღა-მაჭმედ-ხანს თვალ-წინ დასრულებს ქართველებმა ყი-
ზილბაშებს მჩავალი ბაირალები, — ჯერ არ მინახავს — საქვ
ყენმა რამ როდესმე შრერი ჩემ ჯარს ასე ვაჟი
კაცურად შეჭმობმოდეს.

ამ დროს რაც უკან ყიზილბაშის ჯარები უდგა შაპისა
უბრძანა იმათ, რომ წინ ჩამოსულიყენენ და დარეოდნენ.
ირაკლიმაც თაეისი უკან მდგომი მცირე ჯარი წინ დასწია,
შაგრამ რას იქმოდნენ ის მცირე ჯარები საქართველოსნი
იმოდენა უმრავლესს სპარსეთის ჯარებთან, თითქმის რომ,
სულ გასწყვიურეს ყიზილბაშებმა ის ქართველის ჯარი.

დილიდამ საღამომდისინ ომობდნენ და თუმცა შესაძა-
რებლათ სპარსეთის ჯარის სიმრავლესთან ქართველის ჯარი
სულ ერთი მუჭა იყო, შაგრამ ქართველებმა შინც კი სამ-

ჯერ გააბრუნეს მტერი ქალაქის პირიდამ; ბოლოს მანიცა
სიმრავლემ დასძლია, ქართველები ქალაქში მესცვიედნენ. ორ-
კლი ომს არ მოშორდა.

— ყველამ ვაცით ჰელმშეაფევ შენი ვაჟაპობა და უშიშ-
რობა, ვიცით, რომ თავი შეწირული გაქვს შენის ხახელ-
შწიფოსთვის და ხალხისთვის, ეცით რომ სკვედილსაც, არ
ერიდები ჩენის კეთილ დღეობისთვის, მაგრამ თუ მართლა
ბედმან გვიმტკუნა შენის სიკვდილით, მანც ნულა
შეგვაწუხებ ბატონო და ჩენს მტერს უმეტესად ნუ გა-
ახარებ მაგითი. შენი სიცოცხლე დიდათ საჭირო არის ჩენ-
თვისა — მოახსენა ხალხმა ირაკლის.

მეფემ ხალხის თხოვნას ყური არ უგდო მწუხარებისაგან
და ისევმ იქ დარჩა, ასე გამინჯეთ მინამდისინ იყო იქა, რომ
ყაზილპაში გარეშემო მემოახუნენ ქართველის ჯარსა, რომე-
ლიც ვახტანგს და ითანე ბატონიშვილებს ებარათ იმათ
უნდოდათ რომ გზები დაეჭირათ, მავიდნენ იმ ალგილს საცა
ირაკლი იდგა; იქ გაიმართა საშინელი ომი, ამ დროს ირა-
კლი თითონ გაექანა და მტერს მიერდა, მტერიც შამოე-
სვია და უეჭელად უბედურება რამ შეემთხვევეოდა მაშინ
ირაკლისა, თუ ითანე არ მიმველებოდა საჩქაროხედა თაეს
ძეირფასს და სახელოვანს პაპასა.

სამასის კაცით გადავარდა იმოიდენა სპარსეთის ჯარში
ითანე ბატონიშვილი და ძლიეს გამოიყენა იმათგან ირა-
კლი მეფე.

მტერი შევიდა დაცლილს ტფილისში, რომლის მცხოვრე-
ბნიც სულ გაქცეულები იყვნენ. ირაკლი ავლაბრის ხიდზედ

გავიდა და არაგვისაკენ წავიდა.

თუმცა ირაკლი წაბრძანდა, მაგრამ ოში მაინც არ გა-
თავდა, ქალაქის ვიწრო და მრუდე ქუჩებში გაიმართა ოში,
პატონი მეოლა დავით მაგრა იდგა თავის ბინზედ და რამ-
დენიც ყიზილბაშები მივიღნენ იმასთან, იმან უკან გამოაბ-
რუნა, მაგრამ რომ დაინახა ქალაქი ყიზილბაშებით აიმსო და
მეფის წასვლაც მეიტყუა, მაშინ უკან დაიწია ჩრდილოეთი-
მხარესა და მეუდგა მოებსა. ვიწრო და მაღალს ბილიკებ-
ზედ იარა სამი დღე და ძლიერ მოიულეთში მივიდა, ვითომ
იმ აზრით, რომ მეფესთან ყოფილიყო, მინამ სჭარსეთის
ჯარი უკან გაბრუნდებოდა.

ალა-მაჰმედ-ხანმა ქალაქი ტფილისი აიღო.

თუ არ უყი შეიტანონ უკანონებებ უს ეტანა წა ნები და
შორ ამიდებ მის (მემდევი იქნება).

თ. ლეონიდ ბარათაშვილი.

თ. ლეონიდ ბარათაშვილი. მოს და დაზოგი
ას არავ ხა, ხა არავ მოს და ხა არავ იუსტი-
ცის ცოდნა, უარის და და არავ მოსი იუს-
ტის ცოდნა, უარის და და არავ მოსი იუს-

ტის ცოდნა, უარის და და არავ მოსი იუსტი-
ცის მიცემის ცოდნა და და არავ მიცემის

ას მიცემის ცოდნა და და არავ მიცემის ცოდნა

ას მიცემის ცოდნა და და არავ მიცემის ცოდნა

ქორთული ნანიდიშ.

4

(თეატრული დრამა)

დაიძინეთ, ქართველებო, გეტყვით ნანასაო;
მერმე თქვენ რომ დაგაძინებთ, მეც მოგცემთ ბანსაო...

აგერ უყურეთ რუსებსა, ანუ სომხებსაო,
რა ნაირად ეძიებენ განათლებასაო;

თქვენს მამულში დაბინავდნენ, მართვენ შკოლებსაო,
თქვენვი, ჩემო სიცოცხლენო, მშვენიერს ყრმებსაო

შემოგცერიან, როგორცა ორის წლის ბავშესაო...

ნამდინარებს იტყვით ხოლმე: ჰედავთ თბილისსაო!

რა ნაირად აგვიშენებ, — ემადლობთ რუსებსაო!..

და მის შემდეგ თქვენ გადაჲრაეთ კახურ ლვინოსსაო,
მუთაჲაჲდ წამოსწვებით იწყობთ ხერინვასაო...

ნანა, კარდნო სამოთხისავ, ნუ მისდევთ ფიქრსაო;

რაც უნდა რომ დაგემართოსთ კის ენაღელებაო?...

დაიძინე. საქართველო, იავ ნანი ნაო!..

კო მოწერა.

მოთხრობა.

(გადმოლებული).

იყო თბილი თიბათეის შუა-დღე.

კნეინა თავაგვალისისა იჯდა თავის საჩაფხულო სა-
დგომის ბალკონზედ, და ცუდაობისა გამო ეჭორე-
ობოდა თავის ბიძაშეილი, ვახტანგს გ.....ვახტანგიც აგ-
რეთვე ცუდაობისა გამო ყოველ თავის დონი ძიებას ხმა-
რობდა, რომ მოესმინა მისი ჭორი. როდესაც კი აღარაფე-
რი არა ჰქონდათ სალაპარაკო და სულ საფანელი შემოაკ-
ლდათ საჭორავათ, ორივეს შოსწყინდათ და დაჩუმდენ. ცო-
რას ხანს შემდეგ კნეინამ დაინახა ყმაწვილი გაში მიმავალი
თავიანთკენა ქუჩაში და გადახდახა ბალკონიდან:

— აა, უფალო მახათაძე!

ყმაწვილი ვაჟი შედგა და მოიკითხა.

— თქვენ, ხომ ჩენთან მობძნდებით? უთხრა კნეინამა.

— დიახ, გიახლებით; დღეს ოთხშათია, — თქვენი შეი-
ლი შინ გახლავთ?

— ის, ეგონებ, ბალჩაშია.

მახათაძემ თავი დაუკრა და გამობრუნდა.
— ამობბანდით აქ ჩეენთანა.
— მომიტევეთ, ვერ გიახლებით, დროება არა მაქეს.
— ეჭ, კარგით! მოესწრობით ლაპარაკს თქვენ მოწაფეს-
თან; დედი, ჩემმა ნიკომ ჭიდევ ითამაშოს.

— არა. არ შემიძლიან; მე კიდევ ზაკვეთილი დანიშნულ
საათზედ მაქეს...დროება გარდაწყვეტილია. უკაცრავათ!
და მახათაძემ გასწია.

ეახტანგმა გ.....აიჭიმა მხრები და შეხედა კნეინას.
— არა, რასასიამოვნოა ლაპარაკი ე მაგისთანა უმატგაესო
შუმასთან, წარმოათქა მან და ჩამოუშო ტუჩები.

— რაც უნდა იყვეს, ახალი პირია.
— ეგ, ეგჩე, მაგრამ ვერ მეაჩნიეთ რა, ამპარტავნობა
უდევს გულში მაგ ახალ პირს? ვიღაც მოწაფე გდიადა ხა...
ხა...ხა!

— ის არარის ცუდი, მხოლოდ ჩაცმული ვერ არის ჭა-
ნათა....ეგ, უნდა გითხრა, ლარიბია.

ჭორაობას კიდევ შეხედნენ. ეახტანგი გაჯავრებული იყო
მახათაძეზე და აძაგებდა, მას, ცდილობდა დეემცირა ის კნე-
ინას წინ და ეძახდა მას დემოკრატიის ტალახსა და გუდა-
შშიერ. ამასთანავე ამტკიცებდა, რომ კუკი რანაირი განა-
თლებულიც უნდა იყოს, რავი მობილია დაბალ ხალხში.
იმას არას ოდეს არ ექნება მახეილი გრძნობა, თავისიანი
ჭუევა და სხვ. და სხვ...კნეინაც ეთანხმებოდა მას, მაგრამ
გულმუკა ფრქრობდა იმაზე, რომ რა კარგი იქნებოდა, რომ
მახათაძეს ჩეეცვა მშეენიერი ქართული ტანისამოსი და დაეცვა-

რაგნა თავისი შევი, აბურძენული თმა, და კიდევ რა კარგი იქნებოდა, რომ ისე მორთული გაყვლოთ პადრუჩით ბულვარზედ (კნეინა ცოტას რუსობდა) სეირნობის დროს... ამ დროს კნეინას ლამაზი ლურჯი თეალები მოეფინა ცრე-მლებითა.

ვახტანგიც ლაპარაკობდა და ცხარობდა.

მახათაძე შევიდა ბაღში და ნახა ნიკო, ყმაწველი თხუ-თმეტის წლისა, ახალგაზიდა მოახლესთან მოლაპარაკე. ისინი ისხდნენ სკამზედა. გოგომ რამწამ დაინახა მახათაძე, მაშინ ვე გაუსხლტა ყმაწველს ხელიდგანა და დაიმალა, შემკრთალი-ნიკო წამოდგა, მის პირის სახეზე ჯერ ჯერით გამოესახე გოდა: სინანული, შიში, მორჩილება და სიმშვიდე.

— რა ადრე მობრანდით დღეს, ბოლოს გამოსთვეა მან.

მახათაძემ არაფერი არა უპასუხია და წავიდა პირდაპირ ბესეტკაში (ფანჩატური), საცა ისინი ნიადაგ სწავლობდნენ. ყმაწველი შეწუხდა, და შემდეგ მცირე ჩუმობისა, ყმაწვე-ლმა დაუწყო შესაბრალის ხმით ხვეწნა მასწავლებელს:

— ნუ ეტყვეთ გეოუკა დედაჩემს.

— აბა რა ჩემი საქმეა? რაც გინდა გააკეთე.

მახათაძემ გადაშალა გეომეტრია.

— არა, მომეცით მე პატიოსანი სიტყვა?

მასწავლებელმა შეხედა ნიკოს და გაიღიმილა-

— ვისწავლოთ, დრო არის დღეს ოქვენ მოამზადეთ გა-კვეთილი?

ყმაწველმა დაუშო ძირს თეალები.

— არ გისწავლიათ?

მოწაფე დაჩუმდა და გამტერებული დაიყურებოდა ჩექ-
ხეპხედ.

— რას გაჩუმდით? ნუ თავაზიანობ: არ გისწავლიათ
განა?

— არა, მე დღეს არ მისწავლია და შემდეგისათვის
ერთს ორად მოვამზადებ...., დღეს.... ცოტა ცხელა....

— მამ, აბა, შემდეგი დავიწყოთ.

მახათაძე და ნიკა დასდგნენ, — მასწავლებელმა ვერ მო-
ასწრო ორი სამეუთხიანი დაეხატა, რომ ბეჭედურაში შემოვი-
და მოასამახურე და მოახსენა, ბატონი გიახლათ და მიბრ-
ძანა ყმაწევილის და ძ ხება.

— ბატონს მოახსენე რომ არა სცალიან. სწავლაშია, მი-
უგო მახათაძემ.

— ცხენი მოუყენიათ შენი ჭირიმე უთუოთ უნდა გია-
ხლოს.

— სულ ერთია, მოახსენე....

მასწავლებელს არ დასუალ და ლაპარაკის დარულება, ამი-
სთვის ნიკა გასაოცრის სიმარდით გამოვარდა ბეჭედურანა:
მისძარა მასწავლებელს „უაცრავათ“ და დაიმალა.

დარჩა რა უმოწაფოათ, მახათაძემ მოიფერა და ცოტას
ხანს უკან გასწია ბალკონისაკენ. ბალკონზედ იყვნენ სტუმ-
რები. ორი აფეცერი ვახტანგს ელაპარაკებოდნენ, სამი გა-
სათხოეარი მორთული ქალები მხიარულად ხუმარობდნენ
სასეირნოთ ემზადებოდნენ. ნიკოც აგრეთვე მიიღებდა ამათ-
თან მონაწილეობას; გვეთილზედ კი სრულიად აღარაფერს
უიქრობდა. მახათაძე რომ შემოვიდა მოლაპარაკენი და

მოლიაბენი ჩაჩუმდნ ენ და დააცერდნენ მას. ახალგაზდა ვაკება
გამოუცხადა ქნეინას, რომ გაევეთილა არ მოხდა და რო-
გორც ეჭყობა არც მოხდება და ამისთვის, რომ
ის მიღის. ქნეინამ ნუვეშინის ცემით უთხრა, რომ იმ გა-
კეთილს მაინც ანგარიშის ჩაუთვლის. მახათაძემ ტივათ უა-
რი ჰყო, თავი დაუკრა და ჩამოვეიდა ბალკონიდან.

ერთმა ქალთაგანმა წაუჩირჩულა:

— რა სასაკილო რამ აჩინ!

სხვამ თრია იმ აიღეს მალლა ცხვრები, გარღემეს და თავ-
მომწონებით შეხედეს, თავიანთ კავალერებს. ვახტაწემა და
ოთხმა აფიცერებმაც ღამილის დაჭრით გადევნეს თვალები
განმორებულ მახათაძეს, ამასთანც უნდპურეთ დახედეს თა-
ვიანთ ტანისამოსს და დამხამხამეს თვალები.

— შესაბრალისია, გლეხური ცხოვრება! წარმოსთქვა
ერთმა აფიცერთაგანშა.

— ბეღიერია კი და, საგინდა? დაუმარა მეორემ.

ვახტაწემა ის იყო რა დაიწყო ლაპარაკი დომოკრატი-
ელებზედ, ნიკო მოვარდა და ახარა, რომ ცხენები მშათ ა-
რიან. კავალერებმა მიიპარიჟეს ქალები, გასწიეს ცხენებისა-
კენ.

რა უნდა ტენი მახათაძეს? თავის სახლიდგნ ისა შეას-
იყო, მეოთე გაკვეთილამდინ დაზინდნილი იყო თრია საათის
დრო, დარიც კარგი იდგი, ასე რომ ის წაფიდასასეიროდ

წყლის პირას, რომელიც მომდინარეობდა ბალის ბოლოს.

გაიარა სა კოტა თუ რი, მათა ძე მა ნახა ადგილი და-
ქანებული წყლის პირისენ, დაგო ბალაზე სახაფულო
პალტო, წარწევ და მოუწიდა ვაპირობი. როგორდაც და-
ლონებული იყო ის.

დაფუქრდა ესა თავის ყოფა-ცხოვრებაზედ.

— ა, ფიქრობდა მახათა, რომ წელიწადი დამრჩა მე გემ-
ნაზიიდან გ მოსელამდინ... მერე რა და ამ წელიწადიც
გავატარებ, როგორც გ მიტარების უწინდელი წელიწადები.
ამ ზაფხულს ხუთ თუმაშმდესინ მევ გრივებ, რომ თუმანი
გემნაზიისა მართებს, დაპრჩება სამ თუმაშმდესინ, მადლობა
ღმერთსა, მერე კიდევ... გუცელი რამე განჩენება, ან უკი-
ნალისთვის რამეს სტრუს, დაუწერ მაგრამ არაუკრისი ძლიერიან:
ცხოვრება ძნელია ყველი და პური, პური და ყველი... ძალუა
ჩემი მექანის ხოლმე სადილოთ თავისთან მაგრამ არ წავალ...
ძალიან ბევრნი დიდი კაცობა არიან ცხოლენ. სევდა მიმი-
ვლის ხოლმე სადილოზ. რვა და ცხრა პირნი ისე უმჩგავ-
სოდ ლაპარაკობენ, რომ ყურს წარლებენ ხოლმე. ჩემთ
ყოფნა და იმათ უშვერ ლაპარაკს მეყურის გდება, ძლიერ
სიმძმეა, თავს მოკურნებს ხოლმე იმთხოვონ როსება; ზოგჯერ
გულის მეუზნება გაწყვეტილი ისრმუსმა; მთვალები აუხილე, ცი-
გამოაშერავე მავითის სიკრუვე... უჯა ცხიდა წერ ძალუაზ
მახათა მიმიკოს რაუდა ნაფრი იჭირა ახლა სხვა დუღ-

რებმა გარეა უძლებელი მიმართება; უკრ. უკრ. უკრ. უკრ.
— ა რაც სეიჩი იქნება, მიმო უმატებულს მერცხვანეო-
ნამ და არ მომცეს უულები ძალის მაღალე მიზანებიან

ხოლმე მაგისთანა შემთხვევაში, არა, არა მფონია, რომ უარი
მითხრას ფულის მოცემზედ ისინი შღიდრები არიან... ვაი-
თუ მივიდე ფულისთვის და ლაქიამ მითხრას „რუსეთში
წავიდაო“.... მაშინ რაღა ვქნა? არა ფერი, ვერაფერს ჩამ!..
ჩაფრერდა მახათაძე, ხოლო მერე წარმოსთქვა შემდეგი ლე-
ქსი:

მე ჩემი დღენი, დღენი სიყრმისა
შთლად გავატარე უღმრთო შრომაში;
პოეტი სილალე თეისნებობისა,
არც სიხარმაცე — არ იყენენ ჩემში...

ჩაჩუმდა მახათაძე და დაუწყო ყურის გდება. იმას მოკ-
სმოდა ჩუმი გულის მოსკვნა ყმაწევილი ქალისა. ვრღაც ტი-
როდა. ახალგზიდა ყმაწევილი ვაჟი წ მოდგა და გამოხედა.
ამის უკან იდგა უპრალო ბალი, ალაყაფის კარები ღარის; მე
ქოში დედა კაცი სარეცხს ფენავდა. გამინჯვ რა გულს
მოდგინეთ ადგილი, ალაყაფის კარების გეერდე, მან მეამჩ-
ნია პატარა წამოფრებული ფუტული ქზოსკენ. უიცულმი
იღგა სკამი; მახათაძემ დაინახა იქ მარტო ლურჯი კაბის კა-
ლთა და ქალის ბათონქა. ეს გადავიდა ხელ და ხელ მეო-
რე ადგილზე, საიდგანაც სულ მთლად ხედამდა რაც იყო
ფურულის ქერშ. სკამზე იჯდა გასათხოვარი ყმაწევილი ქა-
ლი ლურჯ კაბიანი; ხელმი ეჭირ, წყეპლა, რომლითაც რა-
ლაც ხაზამდა მიწაზედ; ხანდასხანის თავდაღუნული თრთო-
ლით გულს ამოისკვნიდა ხოლმე ბრწყინვალე მის თმა იყო ძა-
ლიან თანასწორეთ დავარცხნილი და იმის პირისსახეს სრუ-

ლებით არ უხდებოდა ცრემლები, ეიჭრო მხრები, პრეზენტი მყერდი და გამხდარი ხელები ამტკიცებდნენ, რომ ეს კიდევ კმაწველიათ და დღე-დღე შე დაიწყებს სისრულეში შესელასა. მახათ-ქარალი მოეწონა მტკირალი. — რჩედ ტორის ისა. ფრენი ბდების, რა დარდი უნდა ჰქონდეს იმას. ტანისამოსშე და საჩოგადოთ სისუფოცვები ეტყობოდა, რომ არ იყო ის ლარიბთაგანი, — მამასადამე მაძლარი, ამასთან დაჩაშიც ცხოვრობს....ოჟ, მაგრამ იქნება, ძამ გააჯავრა, ან თუ აძალებენ სწავლასა? მახათ ქარალი არ აშორებდა მას თვალს.

აი ქალს ფერმა გადაჭრა პირისახეზე, გეება ნესტოები და ცრემლებს ყლაპამდა, დაიწყო ახლად მწარეთ ტირილი.

მახათაძემ ვერ გაიძლო, ადგა და მიერდა ქალთანა. ნახა რა თაეის წინ უცხო პირი, თითქო მიწოდან ამოსულიყო, ქალი შეკრთა. მაგრამ კმაწველი ვაჟის ჩეილმა და ცხადმა ხვამ რაოდენიმე დააშეციდა ქალი.

— რისთეისა სტირით თქვენ? ჰყოთხა მან.

ქალმა გაახილა თვალები, გაწითლდა და წარმები დაუშეა.

— ეინმევ გაგაჯავრათ თქვენ?

— თქვენ რაში გუითხება? ცეკათ მიუგო ქალმა, და დაუშეო ხელცახოცა ხელში კმუჭნა.

— მე ისე გუითხეო; მე სულყველთეის ეწუხარ იმათ-თეის, ეინცა სტირიან...,

ახალ გაზღა ქალი ჩუმათ იყო.

— ძამ ხომ არ გაგაჯავრათ თქვენ?

— არა, კირკოვ ჩამომარის უა! შეიტანე კორის ცოდნა

— ან უწება, დედამ გაგაჯაერათ თქვენი ბოლოს მა იძინე
— თქვენ საიდგან რცით? რომელი ისაუჩინდა, თუ იუბილი იყ
— მე არ ვიცი, მშოლოდ მიეხედი... და არაუგორი ცხვრა
— ძათხრათ თქვენ ენია ხ რთა ბაზარი არ იყოს. ამავდე
— მერმე შეიტყობით ჩემს ვინობას, ხოლო ეხლა მით-
ხარით რისთვის სტარითთქვენა? ა კონკრეტულ ფილის
— მე დედამ, მცემა, ქალმა უჩვენა აბურძენულ ალოკაშე.
— რის გულის თვის? როგორ ის... მარტომის ცინი
— მე არა მაურდა ნერინ სტუმრებთან ჯდოშა და ხდა-
ვიმარვე...
— რისთვის, განა სტუმრები არ ვარგვნენ?
— ოჯ, სხვა და სხვები... აა დღესაც, ცგონება, რქნებიან;
კიდევ დავიმაღლები.
— თქვენ კადევა გცემენ.
— დე, გულ მცენვარეთ მაუგო ქალმა. ა ცამეტობის ნიშ
ორივე დაჩუმდნენ.
— მამა გყავთ? ჰყითხა მახათაძემა.
— არა!
— მოკვედა?
— არ ვიცი მე. მარტო ისე ამერიკული ხასიათის
მახათაძემ ჭარმოსთვეა (33). როგორ იმარტოსთვე
— განა მართლა იმისთანა ცუდი სტუმრები არიან რომ
იმათთან ჯდომა არ შეიძლებოდეს?
— გაუთლელი და ცუდი! აა, დედა ჩემი მხრარულოთ
არის ხოლმე იმ-თთან, მაგრამ მე კი ვერ შემ ძლიან, რო-
გორლაც მეზიზლებიან...! ულ თამაშობა; ლოტოსი, ქადალ-

დისა... სმა... და ხევ... ქალი ცოტათ გაწითლდა.
— დედა თქვენი ეხლა შინ არის?

— არა, წყვილი სადღაცა, ასე სოდა, რომ საღამოზე
ზოგალი.

მახათაძე უფრო და უფრო ღონიშებოდა.

— არ შეიძლება როგორმე კინაზო თქვენი სკუმილები,
თუნდ მორიდგან...

— რატომ არ შეიძლება აი საღამოზედ მოშპანდით დე-
და ჩემთან...

— ცოდა რომ არა მაქს მე...

— მაგითი არაფერობს უშავს არა, დაწყო მშეიღა ახალ-
გაზდა ქალმა:-ფულები გაქვთ თქვენ? ბეჭირი? დედა ჩემი სულ
იმას ამბობს: ეისაც ბეჭირი ფული აქვსო, იმასთან სუსელ-
თვისინ შეიძლება გაცნობა...

— ჰუ, მ.მ ეგრე, მე რისთვის მოვიდე.

— როგორც გრიბაუდეს?

ლრმათ ამოიოხჩა მახათაძემა, თანა ბურძვნით წარმოშოთვა.

ამა, რახა იქ აქართველი მან თაერსთვინ და დაიწყო ღელვა.

ქლო გულსმოდენით ტუყუჩებდა, ახალგაზდა ყმა-
ვილ ვაჟსა და ალარა ტორიდა.

— რა კეთილი რამა ხართ თქვენა, წარმოსთვა ბოლოს
დროს ქალმა სუსტათ; — და კვიდევ ეგეთი ახალგაზდა, თქვენ
ეგონეფ კეთილ შობილი ბძნდებრთ?

მახათაძემ გაულიმა და თავი დაუქნია.

— ჩვენსაც მოდიან ხოლმე ახალ გზიდები... მხოლოდ ლო-
თნი და ისეთნი ქერძინი, დაუმატა ქალმა მწრაფლათ.

— დედა თქვენი უფრო რაზედ გელაპარაკებათ ხოლმე?

— მომარებულად იმაზედ რომ... მე ზარმაცი ვარ, ცოტაა
ვუკურობ ჩემ თაქჩედა, მორცხვი ვარ... მაირდება მე რომ
მალე შევექნები მდიდარი და გაეშორდები მას... მართლა?
ნერავი არ იქნება, რომ მალე მოვიდეს ის დრო. აյ მე
სრულებრივ არ მაშონს, ისეთი ყეირილი არის ხოლმე, რომ
არ შეძლება კაცმა გააკეთოს რამე. თამამობა, სმა
ლოტოობა და ქლები ისეთნი... თავის უფლები არიან.

მახათაძე ამ ქლის ლაპარაკის დროს უცქეროდა მიწასა
და იქმუხნილა მუბლისა.

— ძნელია თქვენი შველა, ძალიან ძნელია...

— ჰა, მაშ არ არის საჭირო?

არა. საჭიროა!

— მე აკი გეუბნებოდათ, რომ თქვენ არ შეგიძლიანთ...

— ძნელია, მაგრამ შემ ძლიან.

— დედა ჩემი მეუბნება, მალე გიშიანი ქმარსაო, მაშინ მე
გაეშორდები, მანამდისინ მოვიცი....

დედა თქვენი გატყუილებს, კბილების კრაჭუნით წაიჩუ-
რჩულა მახათაძემა და თვალმა გაუკლეა. ქალმა გააჭყირა
თვალები. ახალ გაზღა ვაჟი და მვიდდა და გამოართო ხე-
ლი ქალსა.

— თქვენ აქედან უნდა წაგიყვანოთ, არ შეიძლება თქვე-
ნი აქ ცხოვრება... თქვენ აქ წახდებით... ქალმა ამოიოხრა.

— ეგონეფ არა თქვენა გაურსთ აქ დგომი, დაუწყო
მახათაძემა: — არა? არა გაურსთ განშორება ამ სახლიდგან?

— ღიან... ძალიან.

— თქვენ ხომ არ გენანებათ თავის დაფშება დედის?

— არა...

ქალმა გაიღიმილა.

— საუცხოეოა!..

მახათა: მ დახედა საათს.

— ეხლავი გავეტოლზე წასელის დროა. აი რა. არ შეიძლება შეერტყოთ თქვენი სახელი?

— რომელი სახელი? ნამდვილი?

— განა თქვენ ორი სახელი გაქვით?

— ღიან ორი. დედა ჩემსაც ორი სახელი აქვს. ის ნებას არ მარღვეს, რომ დავირქო ნამდვილი სახელი, არამ დახლანდელი სახელი უნდა მექანონ. დედაჩემა ამპობს ხოლო, რომ ლიზა უკეთესია; მაგრამ მე მევიან საგედო.

— აი მაშ რა გათხრა, ს. ბედო: მე ზეგ კადვა აქ ვაწები. მანამდისინ მე ვიურქოდ, როგორმე გაშეელოთ თქვენ, ამისათვის რომ შემწეობა გიჩდათ, და იმასაც შეგრუბინებთ, რასაც მოვიზრებ. მხოლოდ ისიც მითხა-ი, სად უნდა გნახო მე თქვენა?

— ისევ აქვთ.

— მამ, კარგი. შეიძლობით!

მახათ ძემჩამოართვანელი საბედისა და საჩქაროდ წაეიდა.

— რა ჩერა გავიცანი ის ყმაწვილი... ას, სახელიკ, დამავიწყდა რომ მექითხნა.. იფიქრა მან. — ხოლო ეს გასაოცარია, მე არ მეშინიან იმისი, როგორათაც სხვისა... არ ვიცი რისგან უნდა იყოს ესა.. .

იმ დღესევე, საღამოს ცხრა საათზე, ჩეენ ნაცნობ ფიც-
ასულის ახლოს გაიარა კრისტიანების და მიახლოედა ბა-
ლკონთან, მედგა და ჩამოაწერუნა ზარი. დედაუაპმა გაულო
კარები.

— ანეტა შინ არის? ჰეითხა ვახტანგმა.

— შინ გახლავთ. მოძღვის ნლით.

როგორაც დალაგებულ სასტუმროში, დივანზე მოკეცილი
იჯღა ინეტა, ნამდვილი სახელი ანნა, და პაპიჩის სწევდა.
იქნებოდა ოცდა ათის წლისა. საყმაო მაღალი ტანი, შავი
თბა, რაოდენიმე სისტულე და მშევნეობი შევი დიდი თვა-
ლები მიიტაცებდა ჩეენ ახალგვარდა დონ-ეუანებს. კაცი რომ
დაცურდებოდა იმ ქალის პირას ახტე, შეამჩნევა თვალების
გარმამო და პირის კუთხეებში კანის შეჭმუხნილებას; ეს პი-
რის შეჭმუხნილება ამტკაცებდა, რომ ამ ქალს ბევრი რამ
გამოეცადა. კნიჭ ვახტანგის შემოსილის დროს, ანეტ მდა-
უკრა თავი ვატანეს და სოხუმი დაჯდომილიყო. სტუმრმა
ჩამოართო მას ხელი და დაჯდა.

— თქვენ მარტო განაცხადით? მე ძალიან მოხარული გა-
ხლავარ, დაიშეო ვახტანგმა.

— ჯერ ადრეა, მოელენ, დამთქნარებით მიუგო ანეტამ.

— საშა და ოლინკა იქნებიან?

— დამპირდნენ. თქვენ ხო ჩემთან დარჩებით?

— ვგონებ რო დავრჩე.

ორივე დაჩუმდნენ.

— როგორდაც მწყურიან, უთხრა ვახტანგმა:—არა გაქ-
ვთხა შინ არაფერი დვინო?

— ეგონებ ხერები გვაქვს. მოითმინდეთ... ლი კი იძინოდ
ეწერა ადგა და გაუიდა მეორე ოთახში. ცოტას ხანს
შემდეგ მობრუნდა ბოთლით და სრულითა. სრუმარმან-გა-
დაჟყა.

— საუცხოვო ღეინოა! თქვენც მიიჩიფით-და, ანეტა?

— დამისხით.

— დის, კარგი განლავთ.

— ლიზა სადღა არის? ჭიდევ ხო არ გაჭირული? ეს კრისტენი ჩაინიშნა.

— არა; ის ეგონებ, თავის ოთახშია... ლიზა, იძინუდ!

— ნუ აწუხებთ, ანეტა! მაგის ხანში კერპობა შეიძლე-
ბა, დროზე გადუელის.

სრუმარმა დაიკინა ხელი და ჩუმათ დაუმატა:

— მაგ გვარი ფიცხათ მოკიდებით, თქვენ უფ-
რო დაშინებთ... აქ დაყვანებით უნდა, დაყვაებით... მომე-
ცით მე პატიოსანი სიცივა, რომ თქვენ იმასთან ქცევას გა-
მოსცვლით?

ბატონი ბძანდებით. მაგრამ რა გამოვა?

— ნუ მესწუადებით, მე გამოცელი იმას.

ვარკანგმა შეამჯო ღეინით სტეპანი, მოსო ნახევრამდისინ
და მისუა ანეტას. ანეტ მაც დაცალა.

— ლიზა! დაუყვირა ახლა დედამ. სიჩდგანდაც მოისმო
ფეხის ხმა და ცოტას ხანს შემდეგ კარებში ეჩვენა საძედა.

— რამდენჯერ განდად ძხება ქალო? უთხრა ანეტამ.

— ვერ გავრგოხ დედავ...

— здравствуй, моя милая! წარმოსთქვა, და ცოტათ წამოიწია.

დაინახა თუ არა კახტანგი, საბეჭო გამრონდა და წა-
ვიდა.

— მხელო! პატიოსნება არ იცია? გაცხარდა დედა და წა-
მოხტა დიეანიდანა, უნდოდა მისწევნოდა ქალს ა მაგრამ
კახტანგმა შეაყენა აღალვებული და ცოტათ ლეინო მორეული
სახლის პატრონი.

— დექსენ, დექსენ ანეტა! ეგრე ერთბაშათ ხომ არ შეი-
ძლება... და ამასთანავე ის დაგვემლის, მე მსუბუქდა დღეს, მა-
ნამ არაენ მოსულა, მომცლაპარაკანა გადჭრით თქვენთან.

ანტა დაჯდა და დალა კიდევ ლეინო.

— აი რაზე მაურდა ლაპარაკი მე, დაიწყო ვახტანგმა:—
ლიზა, დაახლოებასათვის ბევრი დროება უნდა; ის ეხლა,
მხოლოდ თხუთმეტის წლისაა, მამასადამე ერთი წელიწადი
ჩაიწე კიდევ გაიკლის. მანამდისინ ხო მოგეხსენება, რამთე-
ნი რამე მოხდება? ესე იგი გატყობინებთ იმშე, რომ მარ-
ტო მე გეყოლებით თქვენ სახეში შესახებ ლიზასი? ისიც
დაი შესაძლებელია, რომ ფული, რომელიც დაპირებული
ვა, გეცორევებათ და თქვენ მაშინ სხვას მიმართავთ...

— არა, აკი მე თანახმა გაუხდი და სიტყვაც მოგეი-
თო...

— ეგ ყოველი ფერი ეგრეა, მაგრამ ასი თუმანი რომ
შევრია ოც თუმანზედ?

— ბევრია, მაგრო რა?

— ამითი მე ეს უნდა მოგახსენოთ: მომეცით მე ეხ-
ლივე ლიზა; მე დაუკერ კირით სახლსა; დაუკერ ვინმე
შებერს დედაუას და ეხლავე გაძლევთ თქვენ ნახევარს...

გნებავთ?

— პუმ! წარმოსითქვა ანეტამა, თანაც მოერჩია ლუნო: — რო ათასი... ბეერია...
რო ათასი... ბეერია...

— სულ ერთია, თქვენ უკი მომეცით მე სიცყვა.

— ხო, დიახ... დიახ, სიცყვა... უნდა მოვიფერჩო...

— აյ რა ფურია უნდა? ეგრე როგორ შეგაცდინათ ას თუმანშა. მე ეგ მხოლოდ მაგალითათ მოვიყვანე... ნათქვა- მია: დღევაცდელი კუტახი გერჩიეროს, ხეალინდელ ქათა- ხაო.

— ეგ მართალია.

— ჰაი, ჰაი! მართალია... მაშ რა ვქანათ?

— მე კი არა მსურდა, რომ სრულებით თავი დევნე- ბებინა ჩემთვის, ხო ხედავ ებერდები.. ის საშველებლად მყოლებოდა მე.

— მავისთვის თქვენ ნუ სწუხუბებით: ცოტა რამე ოქნე- ბა თქვენ თაქზე ცუდი—მოდით ჩენთანა, კარები სუკე- ლასთვისინ გალებული ექნება თქვენთვის.

— სიცყვით კი გალებულია.

— აი! გეფაცები თქვენ... აბა, ანეტა, თანახმა ხართ?

— ახ, დასწუხულ ას ემშამა! წამოიყვირა ანეტამა, ხელი დაიქნია: — იყავ ნება თქვენი;

— აფერუმ! თქვენთვის ეხლავ საჭიროა ფული?

— საჭირო, და ეგრე საჭირო. მოშეცია!

ვახდოგმა ამოიღო. პალტანი და გადუთვალა ათი თუ- მანი.

- სხვა ჩაიგები როდისლა?
- მაშინ როდესაც ლიზა გადმოვა სახლებში.
- ესდანგ, მომეცით თქვენც სიტყვა.
- მე წერილსაც მოგცემთ.
- კარგი იქნება. როდის წაყვანით.
- როდესაც სუჟეტილ ფერს მოვაწყობ. ოთხს დღეს
შემდეგ.

ვახტანგი გამხირულდა, წამოსტა დივანიდანა და საჩ-მ
ქითა დაიწყო სახულე.

- თკვენი პ-ძა როგორლაა? ჰკიოხა ვახტანგმა ახლად
და დაჯდა.
- უწინდებულათ ძეგნის.
- ეგ სიცირეა! მაგრამ — პეპერია... ჩუმობა ჩამოვარდა.
- იცი რა, ანეტა? მე მსურდა ლიზასთვის მარტო მე-
კოცნა... მარტო მეკოცნა!
- მიბძნდათ.
- ვახტანგი გაიქცა და მალე დაბრუნდა.
- წასულა, კოპების შეკირით სთქვა მან.
- ოჳ, რა საძგელი გოგოა! მე დარეჯანსაც და თი-
ნასაც კუბრინე, რომ ყური უკდონ ხოლმე მგას, როდე-
საც მე სტუმრები მყვანან ხოლმე... მხეცები! თინა!
- თინა მემოვეიდა.
- რა დაგემართათ, გმრნავთ, თუ რა ამბავია! ლიზა კი-
დევ წასულა!
- წასულა? ჩვენ კი კარებიდგან, მე და დარეჯანს ფე-

ხიდან მოგვიცილებია და პატარა ქალბატონიც ამ სახურა
კუთხიში გახლდათ... იქნება საჭიროებისთვის...,

— კარგი, წადი. თინა გავიდა და კარგიში დაიღმიჭა პირის სახე.

— სასიამოენო იქნებოდა მცოდნიყო: რად დაიარება ა-
არ ჩაფიქრებით წარმოსთვეა ვახტავებმა.

— მაგისი ნუ გეშინიანთ, მორს არსად წევიდოდა, გზები
არ იცის. აქ პალა გვექვა ჩვენ—სწორეთ იქ უნდა ი-
ყოს.

— როდისმე საჭირო კი იყო დაცვინილიყავით იმას...
ხომ არაფერი ამჰაერი არ არის...

— არა, სად მეუძლიან ... მეუჩეველია ძალიან, თუ
მანც გრებავთ თინას გაეგზაუნი.

— ხო გაბხოვთ, ანერა: თქვენ სიცუდა მომცირო მე, რომ
იქნებით იმასთან ეხლა რბილათა და ალერსიანათა.

ლაპარაკება მოიტანა. ისევ იმ ძერწე ბიძაზედ.

ამ საათზედ ბალყონთან მოგრილ დაკალისა. იქრდან გად-
მოეიდნენ სამა და ოლინკა ად ორი აფეცერი. სასტუმროში
შეიქნა დიდი ხმაურობა და მხიარულობა. საშამ გადმოილო
კალასკიდან კალათა...

“მემოვიდა თინა და ჩურჩულით მოახსენა ქალბატონსა
რომ ლიზა ჭალაში არ არის.”

ამ ცნობაზედ ვახტანგს გამოეცეალა პირის სახე.

— ნუ შეაწუხდებით, უალერსებდა ანერა: — ის აქ სად-

მე დაიმალებოდა,... ეხლა მანც რათ გიხდა?

— რა უკიდერეა, მშ კარგი.

მახათაძემ დანიშნულ დღეს მიღდგა ჩეენგვინ ცერმალ და
ჩის ღლაკუფის კარებსა. ამ ხელზთა საბედო თითონ გამოეკ-
ვება, ფაც რულოდგან. ქალის პირის სახეს ემჩნეოდა, ღელ-
ვა. ქალმა მიღტანა თითონ ტუჩებთან და ჩამოართო ხელი
მახათაძეს.

-- წავიდეთ... ეჭ არ შეიძლება, ჩუმათ უგხერა საბედამა
მახათაძეს.

მახათაძეც დაემორჩილა.

-- სად უნდა წავიდეთ ჩეენ?

საბედომ არაფერი უპასუხა და მიათრევდა მას თავის-
თან.

-- დედა ჩემი ჯერ არ ამზღარა, ეუბნებოდა ქალი:-- იქ-
ნება მალე ადგეს, ასე რომ დაგვინახავდა ჩეენ იქ... ყუ-
რი მოგდეთ რა მოგახსენო მე თქვენ.. იმ დღეს შევიტ-
ყო...

-- მეც რამეებს გიამბობთ თქვენ... გააწყვეტინა. მა-
ნათაძე.

-- მოითმინეთ, მოიომინეთ! აი ქალაში მივალთ...
იქ.

-- შორს არის?

-- აი ამ სააოში მივალთ. თქვენ რალა გქვიანთ? მე ჯერ
არ მივითხნია--რანაირათ გაბნეული ვარ...

-- ილიკო მქეიან, მიუგო მახათაძემ.

-- ილიკო, ილიკო, ლულლულებდა საბედა:-- მე უწინ
ეგ სახელი არ მიყვარდა, ეხლაკი მიყვარს...
ახალგაზდა, ყაჟი კილევ როგორლაც უშნოთ ოხრავდა.

გაიარეს რა კიდევ რაოდენიმე ნაბიჯი, ესენი შევიდნენ
ჭალაში. საბედომ იპოვა დაბურული აღგილი.

— აქ დაცხდეთ, უთხრა ქალმა: — აბა ჯერ თქვენ თქვით.

— საბედო კარგათ წავა საქმე., აი რა უნდა გეითხოთ
მე თქვენა: მტკიცეთ გაურთ თქვენ თავისდანებება დედისა და
ყველა მართალია რაც მე მიანმდეს. ა-ა მოუმარეს რას.
საბედომ თვალები გამოჭირა.

— განა მერძლება ტყურლის თქმა. ეგ წომ ცოდნა. მე
სუყუელთვისინ მართალს კლაპარავობ...

— მომიტევთ, ცოტა გაწყინეთ თქვენ, მე მოვალე
ვიყავ მექითხნა თქვენთვის. მომისმინეთ ეხლა. თავი და თა-
ვი საქმე თქვენ--სურეილმა; უიმისოთ — მე არა ფრი არ მე-
მიძლიან გიუავეთო თქვენთვას, იცით?

— კიცი.

— საუცხვეოა აჩქარება ჩეენთვის ჯერ საქირო არ
არის; მერმე გეტყეოთ, რისთვის გვითხეთ თქვენ იცით თუ
არა წერა. კელექ-ხელობაც ხო რამე გეცოდონებათ?

— მეგზძლიან ხელისახოცის პირების ამოხევეა, კარგა...

— არ არის ცუდი. პხედ ეთ, საბედო, რაზეა საქმე და-
მოკიდებული: უნდა ეიმოქმედოთ პოლიციითა, მაგრამ მაგა-
ზე მე უნდა ეწირონ. უპირველესად—თქვენთვის საჭიროა
სხვაგან ცხოვრება და არა აქ. ჩემთან ცხადება ხერხათ
არ მოდის და ამასთანავე, თქვენ აუგანაზედ; რასაკვირველია,
თქვენც არ მერძლება იჯდეთ გულ ხელ დაკრუფრალი..

— მე მუშაობა მოყვარს, ძალიან მოყვარს! თუ გნებავთ,
პოლებსაც კი დაერეცხავ, ან ლალაობას გაუწევ პატარა

კუმარიცვალებს... მე პატარა ყმაშვილები მიყვარან.

— რა ყოჩაღი რამა ხართ! აღჭაუებით წარმოსოქვა მახათძემ.

— ძალუა თქვენს პატარაები ჰყავს?

— რაგორ არა, ჰყავს მგონიორიც.

— ამ, რა რეგათ სახიამოენოა ეგა!

საბედის უეცრი პირისახე დაღრუბლული გაუხდა.

— მე ძალაან მეშინოდა გუშინა, მეშინოდა...

— რისა გეშინოდათ? არა ფერია, საბედო! ერთი კეირა
კადევ აქ მოითმინეთ თქვენ, დაიმალეთ ხოლმე კარგათა...

ეგ საქმე ერთპაშათ არ შეიძლება გაკეთდეს.

— მე რომ უნდა წამიყვანონ!

— ეგ მხოლოდ გაშინებენ.

— არა, არა, დღევა თქვენ, რომ იციდეთ, რეები
გაეიგონე მე, როდესაც დედა ჩემი იმ დღეს ელაპარაკებოდა
ერთს უფალს!

— რაო, რას ელაპარაკებოდა?

მახათ ძემ ყურები იციდება. საბედომ როგორც შეიძლო
უანბო მახათ ძეს დედის და ეპტანგის ბასი, საბედოს ლა-
პარაკზედ მახათ ძე ესწრაფებოდა წამომზრუანყო აღვილიდგან,
თმებს იმურძოდ წილა და ბოლოს წამოდგა ფეხსე.

მაშ, თქვენი იგაყიდვა სურთ მწუხარებით წარმოსოქვა
მახათ ძემ; — სამ გელნი პირუტყვნი...

და ამასთანაევ კბილები გააკრაჭუნა.

— მართალია განა ეგ ჰყითხა ახალგზიდა ვაჟმა, ცოტ
დამშვიდებით ათუმცა ეს არ იყო ცეკვი, მაგრამ ჰუნდა
მჭეში მუსოფლიურ.

— მართალია, ილიკო, მართალია განა მე ძალი ვარ,
რომ მყიდიან?

მახათაძეს გული შეუერწიოდა; შან შოიბრუნა სუნი და
დაჯდა კიდევ ბალახზე.

— ერთი წელი მოთმენა არ შეძლება. ოქენ უნდა
ჯერ წაგიყვანო ძალუასთან. თვით საქმეს ჩეცნ მერმე დაერწ-
ყობთ. თქვენ სოჭეთ, რომ იმან ხელ წერილი მისცაო? ვვ
ძალიან კარგია!.. ეხლა თქვენ მითხარით რარიგათ და როდის
წაგიყვანოთ თქვენ?

— დილა ნდრიან, როცა ყველას სძინავ!

— მაშ, რავი დავვევანება არ შეძლება, ხეალ დალით
იქნეს საათზედ.. გესმით? დილის ექვეს საათზედ ბზათ იყავი და
წადით პირდაპირ ფრთხის გზისკენ: ხის ქედზე მომაცადეთ;
მე იქ მოლოდნი მექნება. ნურაფრისა ნუ გემინიანთ! ყველას
მე ვკისრულობ და ამასთანაც ძალუა ჩემი დიდი კაცის
ცოლია.

— ახლა დღეს რომა..

— დღეს რა?

— რომ წამიყვანონ?

— მაშინ აეათმყოფობა მოიგონეთ, ქვეშ-გებში? ჩაწერით.

— ოჰ, ოჰ! შეძლება, შეძლება..,

— საბედო და მართა გამხიარულდნენ.

— ოჰ, რანაირი საზისძარი და ცუდი რამ არის!

— ვინა ეგ?

— აი ისა, რომელსაც ჩემი ყადეა ცსურს...

— ჰაი ის გარყვნილი! დაიძ ხა მახათაწერია, ეს ... ესია ეს

— ის იმ სალამოზე მეძებდა მე, მაგრამ ვერ მაპოვნა.
ჩენ ერთი განჯინა გვაქვს, მე იმ განჯინაში ვიჯექი. დედა
ჩემთა არც კი იცის ის განჯინა, თინას მეტშა არავინ არ
იცის. დედა ჩემი ფურიობდა, მითომ მე ჭალაში ვიყავი, ის
კი არა თუ შე იმ განჯინაში ჩამალული ვიყავ და ყურს უგ-
დებდი იმ სტუმრების ლაპარაკს. რო იცოდე იმსალამოსა, რა-
ნაირათ ლხინობდნენ ჩენი სტუმრები. მღრღობდნენ, თამამობ-
დნენ ლოტოსა, ქაღალდსა--ოჲ, ოჲ, ოჲ! რა ცუდი რამ არის.
მე განჯინაშივე დამწანა.

— როდესაც ჩენი საქმე გათავდება და თქვენი ძლუა
ჩემთან იქნება, მე თქვენ, საბედო, სწავლას დაგრეუბანებთ.
ვგონებ, თქვენ არაფერი არა იცით რა?

— წერა და კითხვა ვიცი.

— ეგ ცოტაა.

საბედომ წააცლო ხელი მახათაძის ხელსა. თქვენ
თქვენ ხომ უთუოთ მოხვალთ ხებლ? ხომ არაფერი
არ დაგაბრუოლებს?

— არც წვიმა და მაბრუოლებს.

— მაგას რა-ლა თქმა უნდა! ნურც თქვე შეხედავთ დროს
საბედო: წვიმა იქნება, თუ რაც უნდა იყოს სულ ერთია,
მაინც, წამოდათ. უქნება მეც ერთპაშათ აეათ გავხდე--მაგ-
რამ მე ევ არას დროს არა დამემართება რა მე მაგარი აგე-
ბულებისა ეარ: მართლაც ილიკო მახათაძე მრთელი კა-
ცი იყო.

— მაგრამ წაიჩურებულა მან დაფიქტებოთ: — იქნება ლა-
მე რამე... მე ფოხილი ეარ, ამიტომაც დამშვედებული ეარ.

— თქვენ ნულაც მიმცემთ მე, თუ თხოვთ დაგრძელოთ
დედა ჩემთა.

— თქვენ, საბედო სჯული დაგრძელოთ და არ მაგ-
ცემს დედა თქვენსა.

ქალი ჩაფიქრდა.

— მე ცოტად მენანება კიდევ ის, წარმოსთქვა ქალმა
და მსწრაფლ შეხედა თავის მეგობარს: — დედაჩემი ზოგჯერ
კეთილია ხოლმე, ალერგია... მაგრამ არა! იმას ჰსურდა
ჩემი გაყიდვა, — არა, მე არ მენანება ის; მხოლოდ თინა მე-
ნანება: ის ისეთი კარგი რამ იყო, რომ მე ძალიან ვენანე-
ბოდი. უწინ მე მარტო თინა მუყრანდა, დაუმატა მხიარუ-
ლად საბედამ; — და ეხლა კი თქვენს მიყვარებოთ... მე
თქვენ, როგორც ძმას ისე გაკოცებდით...

ქალმა დაუშეა თვალები.

— არა... რა საჭიროა...

გახათაძე გაწითლდა, ჩახეელა, ჩაიყო საჩქაროდ უბეში
ხელი, უჩდოდა ამოელო პაპირუსზე.

ერთბაშათ საბედო მაკერა ილიკოს მხრებს და აკანკალდა.

— აგერ ის... აგერ, წაიჩურჩულა ქალმა.

გახათაძემ წამოიხედა.

— ეგ არის? სოქეა მან.

ვახტანგი წელის ქრევით მიღიოდა პირდაპირ ამათკენ.
ილიკომ კბილები მოუჭირა და გადაფიქრებული წამოდგა.

— წავიდეთ საბედო.

— ხა, ხა, ხა! აი სად არის, ლიზა? ეჟე; ყოჩალ!.. ვა-
ხტანგს გაუწითლდა თვალები.

— მინ წალა, წასჩურა ჩულა მახათაძემ ქალს, და გახსოვდესთ: იქანი საათი.

საბერო გაიჭია.

ვახტანგი გა, მახლოედა მოწაფეთან, აიბჟუტა თეალი და უფრო ძლიან დაუწყო წყვპლას ქნევა. ილიკომ აუჩის რებლივის ნაბიჯით შემოუსცედა მრაცხივ და გასწია.

— საითვენ? მასახა ვახტანგმა: — ეგ არი იპრება რაღა? შახათ ძე ჩუმათ იყო და მიღიოდა. ვახტანგი დედის მა. ესენი გაფრთხენ ჭლილგან. ჭალები და ვაჟები დასეირნობდნენ ამათ ახლოს.

— ჰა, შე უუჩდლლასაეიო მშიმროზა კატასავათ შეუნ გო!.. დადექ! უუყერია ვახტანგმა.

მოწაფე მ დაოდა ჩუმათ და უატენდა. ზრელებით ყურადღებას არ აძლევდა გაცხარებულ თვადიშილს.

— აი ამათთანა ხალხის სიმცირე? გუდამშიერი!...

ესენი დაუსწორდნენ მოსეირნებს.

— შენ იცი შე ღმრთისაგან შეჩეინებულო, რომ მაგისთანა საქმისთვის ცხვირ პირს ჩაგრმულერენ ხოლმე! ის ჩემი ნაცნობია! — დაილრიალა ვახტანგმა და გამოჰკრა მხარედ მახათაძეს.

მოსეირნები დადგნენ.

მახათაძე ხაჩქარით მოპრუნდა. პირას სახე მშიო იყო გურთალი, ლურჯი ტუჩები უკანკალებზნენ. გაჩუმებულმა შეხედა კოჩტა პრუშ, ყმაშვალა — და წავლა კატარებს შეჩემი ხელა, წამიაგდო მაგვერდზედ და რამდენიმე ნაპიჯზე

გარდასტუოცნა, ქალებმა დაკუვლეს, ვაჟებმა, უკან დაწეუს
და მახთაძემ კი ისევ იმ ნაბიჯით გასწია და ღობას კუთ-
ხეში დაიმალა.

მეორე დღეს ჩუმი, თბილი, ღალა იყო.

ექვების ნახევარზედ საბედო იყო დანიმნულს ალაგს. ხელ-

ში ეჭირა მთს პატარა ბოლჩა. სახეზე ეტყობოდა უძლობა.

პატარა ბიჭებმა გამოიარეს კოკებ უკიდებალმა საბედოს ახლოს.

ფრთმა მ.თგანია წაჭრა ხელი თავის მხანგას.

— შეხე იმას, ეე! თუ ეგ კარგი სულია ამ დილიზე რას
გამოასულა.

— გოგოებმა მაგრე იციან. ამ ეხლა კარგი იფრის სახ-
რე მ-გას ძლიან ამ მოუნდება.

— ეგ წმინდა წყლისა არ უნდა იჭოს.

— აბა, რაღა თქმა უნდა!

ბიჭებმა გაიარეს. და როცა კარგათ დაშორდნენ — დაუძა-
ხეს „იხრუე!“ საბედო ეცრომის კდა, რომ ისინი იმზე ლაპა-
რაკობდნენ. მან გაიარა ცოტაოდენი გზა, წაეიდა დიდ გზა-
ზედ. მორს თეთრი გზა ცვალგებოდა. ამ გზზედ აჩიავინ არ
მოჩანდა და ჩუმობა იყო. ქალები თვალები დაახამხაშა და
შედგა უძრავად ერთს წამს. შორიდვან მოჩანდა ერთი კაცი,
ზულმა დაუწყო ცემა საბედოს.,, მაგრამ ამ კაცმა შეუხეია

შარცხნივ და დაიმალო. ქალმა ჩუმათ ამოიობრია და დაბრუნდა კადევ იმ ხის ქვეშ. მზე მაღლა და მაღლა ამოიფილდ, საბედომ ამოიღო ბოლჩიდამ ნაშუქი, უნდოდა ეჭამა, მაგრამ ვერ შესძლო და გარდასტყორცნა ტყისკენ.

— ეს კარგი ალაგი ვერ არის. შემამჩევევნ, მოიფერა.

— ნეტა ერთი შემატყობინა, მერამოენე საათი იქმნება ეხლა, მაგრამ სულ ერთია: დავჯდები ჯაგების უკანა და მოუწყდო.

ამას უკან მოისმინა ფეხის ხმა. საბედომ მაიხსედა.

ერთი ყმაწილი ვაჟი, თეთრი ჩოხიანი, მიდიოდა ამისკენ და სწევდა პაპიროს. ოქროს საათის ძარცვი უბრწყენავდა თეთრ ტანისა ბოსტყდ. ამის წინ მირბოდა ძლი. იმ ვაჟმა გაიარა ქლის ახლოს, ძლიერ დადი ნაფში ჰკრა და უნდოდა ვეზო რგოლი ბოლისა, მაგრამ ვერ მოუხდა ამას.

— ა ამას ვკითხავ, იფერა საბედმა. მერამოენე საათია, მითხარით გეთაყვა?

ყმაწვილი ვაჟი შედგა დ? გამოიღო საათი.

— ხუთი მინუტი უკლია ექვეს საათს.

-- გმადლობთ.

ამ ვაჟს სურდა რამე ეთქო, მაგრამ ვერ გაბედა, დაუსტება თავის ძლის და წავიდა სიმღერით.

„არ იქნა არ შემხედა ქამი შეყრისა...“

საბედო გამოეიდა ერთხელ კიტევ ღიღვზშედ და გახედა შორს, და კიდევ ცარიელი იყო დაუსრულებელი თეთრი გზა. არავინ არ მოჩანდა.

ეს წავიდა ჯაგის უკან და დაჯდა ბალახშედ.

— ან მალლა და მალლა იმოდიოდა მზე, საბედომ გაიგონა ფაერონის ხმა. ეს ადგა და გადასწუნა შეკაგის ტომს და გამოხედა მან შემჩნი, ფაერონში მჯდომი ქალი, რომელსაც სთელემდა. ცოტას ხანს შემდეგ ჩამოვარდა ჩუმობა.

— დიღი ხანი იჯდა კიდევ საბედო,, მზე კი მალლა იყო: ბოლოს ადგა ეს და, წავიდა ჩუმ-თ გზისკენ.

— სად არას აქამდის? წაიჩირჩულა საბედომ და შეფერა: — იქნება მ.მარკუა... არ ვიცი მოუცადო კიდევ თუ არა!

არა; საბედო, არ მოგარეუა მენ ილიკომ: მაგ გვარი ხალხინ არ არყუებენ. მხოლოდ შენ ნუ იციო ნურც ხელ... წადი შინ, იქნება ვახტარგმა უჩავლა მას და მისცა თხოვნა, რომლის გამო პოლიცია დაიბარებდ მას? არა. ვახტარგი სირცეებით არც კი სადმე იტყოდა გუშინდელ ამბაეს... ნუ უცდი. საბედო, ილუკის, ის დაიარგა ერთი წლითა, ორით. შესაძლებელია სამითაც, და კიდევარგა უანბოთ.

— ამის ვ ვავა

—

გაიარა ერთმა წელიწადმა.

ერთს მთვარიან ღამეს მომვლეზირში იყო კონცერტი. ბალი და ოთახები სამსე იყო ხალხითა. იკრიდა მუხიკა.

ზოგი ქალებთაგანი, დართულნი უმეტეს ნაწილ ევროპი-
ულად ისხდნენ სკაბზედ და ელაფად რცებოდნენ უმ წერილ
აცებს; ზოგნი კი დასერინობდნენ ბალის ხეივნებში ზღვაში
სტოლის გარემო ისხდნენ მოსეირნენი და შეიქცეოდნენ.

ერთი იმა სტოლთაგანი, რომ ლიც იდგა კუთხებში, იყო
გასერილი საჭმლითა და სასმლითა. ამ სტოლის გარემო
ისხდნენ: ახალგზდა უმ წერილი ქილი, ჩატმული ევროპუ-
ლად; მ რჯვნივ უჯდა ერთი აფიცირი და მარცხნივ ვალ ც
სტატიკი. ქალი უმიდობაში დაუზოგავად ყლაპავდა სხვა და
სხვა ძეირფას სასმელებს.

ამ კამპანიის ახლოს გაიარა ორმა აფიცირებმა. ერთი
იმათგანი თქროს ლარნეტის ქნევით მიუბრუნდა. ამხან უმ
და უჩვენა იმ ქალზე.

— Славная девочка... Вотъ-бы (ჩინებული ქალი აი თუ).

— Вотъ бы... (აი თუ) გარუმეორა ამხან აემა. ეს ჩინებული ქალი იყო ხაბედო... დიმ. ვრიგოლაშვილი.

1867 წ. ივნისი.

ქათმები გარე შინსის.

მუშაოდის ბალის გვერდით უ სიტოვესის შენობაებში ის-
ყიდება სხეა და სხეა ჯინსის ქათმები, მოყვანილი რესერ-
ვაზ და სხეა კეცენებიდამ, ესე იგი: კონსისინს ჯინსი, ბა-
რბაპუტია, კარლია, არაბია ღამულისა, გოლლანდისა და
სხ. ყეილა გვრი არის შესანიშვავი ანუ ტანითა, ანუ სი-
ლამშითა და ანუ კვერცხის მდებელობითა. მამალი იყიდება
— მანეთად და ათშაურად, დედალი მანეთად. — თავშეს თე
ფრთხოების მისამართი მოწირები არის ცეკვა
— თე კიდეობის და მიმდინარეობის და ცეკვა — არ არ არ არ არ არ

„ცისკრის“ დაბარება მფიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად 6 მან. დაშატებით, 7 მან.

სხვა ქვეყნებში გაუგზავნელით, დაუშატებლივ 7 მან. დაშატებით 8 მან.

რედაქცია იმყოფება კურიას საკუთარის კერძესელიძის სახლებში, ქ. ტფილისში.

ვისაც ჭურნალი დაკლდეს და თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ აღრესით:

„ცისკრის რედაქციაში ტფილის.“